1. რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნევთ, რომ 2018-19 წლებში თქვენი საქონლის დახოცვა "ჩირინასგან" შეძენილმა ქათმის ნაკელმა გამოიწვია? ამის დასამტკიცებლად მოახდინეთ თუ არა დახოცილი პირუტყვის გამოკვლევა, მათი სიკვდილის მიზეზის დადგენა სპეციალისტების მონაწილეობით? (თუ კი გთხოვთ მოგვცეთ საშუალება გავეცნოთ ასეთ მტკიცებულებებს)

- ჩირინასგან შეძენილი ქათმის ნაკელის ნიმუში შემოწმებულ იქნა ისრაელის და ადგილობრივ ლაბორატორიებში, რითაც დადასტურდა ნიმუშებში ანტიბიოტიკების არსებობა. ანტიბიოტიკების არადანიშნულებისამებრ ხანგრძლივად გამოყენების შემთხვევაში ვითარდება რეზისტენტობა კონკრეტული პრეპარატების მიმართ, რაც შემდგომში იწვევს მკურნალობის არაფექტურობასა და ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას. რაც მოხდა კიდეც ჩვენს შემთხვევაში. მკიცებულებები წარდგენილია სასამართლოში, აღნინშნულთან დაკავშირებით არსებობს აუდიტის დასკვნაც.

2. ჩვენი ინფორმაციით "ჩირინასგან " ქათმის ნაკელს 2018 წლის ივლისიდან ყიდულობდით და იყენებდით საქონლის საკვებად, რატომ მოხდა ნაკელის ლაბორატორიული გამოკვლევა 2019 წლის ივლისში? როცა თქვენი ვეტერინარი სასამართლო სხდომაზე ამბობდა, რომ ჩირინას საკვების ანტიბიოტიკით დაბინძურების შესახებ ეჭვი ჯერ კიდევ 2018 წლის სექტემბერში გაუჩნდა?
- შპს ჩირინასთან ყოველთვის პარტნიორული ურთიერთობა გვქონდა, პირად საუბრებშიც და მიმოწერის დონეზე გვქონდა დადასტურებული, რომ ჩირინა არ იყენებდა ანტიბიოტიკებს, მათ ავტორიტეტში ეჭვის შეტანის საფუძელი არ გვქონდა. შემთხვევების გახშირებისა და რძის დაბრუნების ფაქტების დაფიქსირების შემდეგ გავაკეთეთ ლაბორატორიული ანალიზი რითაც დადასტურდა ჩვენი ეჭვები და შევატყობინეთ ჩირინასაც.
3. რატომ შეირჩა ბათუმის ლაბორატორია, რომელსაც არ ჰქონდა აკრედიტაცია და მისი გამოცდის ოქმი სპეციალისტების შეფასებით არ შეესაბამება ამ სფეროს ელემენტარულ სტანდარტებს? (საქმეში დევს ებრაული ლაბორატორიის დასკვნა, თუმცა მოსამართლე მას არ დაეყრდნო და მტკიცებულებებში მხოლოდ ბათუმის ლაბორატორიის დასკვნა მიუთითა)

იმ პერიოდისათვის ქათმის ნარჩენებში ანტიბიოტიკების ნარჩენების განსაზღვრელი აკრედიტირებული ლაბორატორია არ არსებობდა და ვერც ერთმა ვერ დაგვიდასტურა ანალიზის განხორციელების შესაძლებლობა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტთან არსებული კვლევითი ლაბორატორია იყო ერთადერთი ვინც დაგვიდასტურა ნიმუშის გამოკვლევის შესაძლებლობა.

4. რატომ არ მიმართეთ სურსათის ეროვნულ სააგენტოს ნაკელის კვლევისთვის, რომელსაც იმ დროს ჰქონდა ხელშეკრულება საერთაშორისო აღიარების მქონე უცხოურ ლაბორატორიასთან და შეეძლო უფრო სანდო კვლევის ჩატარება?

იმ პერიოდისთვის კომუნიკაცია გვქონდა ყველა შესაძლო ლაბორატოირასთან და ვერც ერთმა ვერ დაგვიდასტურა ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა.

5. რატომ არ მოხდა ნაკელის ნიმუშის აღება "ჩირინას" მონაწილეობით, როგორც ეს განსაზღრულია კარგი საერთაშორისო პრაქტიკით?

რადგან ჩირინას რამდენჯერმე მივმართეთ ზეპირი თუ წერილობითი ფორმით ანტიბიოტიკების შესახებ და განგვემარტა, რომ არ იყენებდნენ ანტიბიოტიკს.

6. რატომ თვლით, რომ 2019 წლის ივლისში ნაკელის ერთ პარტიაზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგი ვრცელდება მანამდე 1 წლის განმავლობაში შეძენილ დაახლოებით 180 პარტია ნაკელზე? თეორიულად ხომ არის შანსი სხვა პარტიებში არ იყო ანტიბიოტიკის ნარჩენი?

- საქმეში არსებობს ვრცელი აუდიტური დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ანტიბიოტიკის ხანგრძლივი (და არა მოკლევადიანი) არამიზნობრივი გამოყენება ცხოველთა ჯანმრთელობაზე. ანტიბიოტიკების გამოყენება ფერმაში არ ხდება მხოლოდ ერთჯერადად. მათ ან იყენებენ ან საერთოდ არ იყენებენ. არსებობს დადგენილი პროტოკოლები, რომლითაც ხელმძღანელობენ ვეტერინარები. ჩვენს ფერმაში ანტიბიოტიკის გამოყენების შემდეგ კონკრეტული ძროხის წველა ხდება განცალკევებით და მისი რძე იღვრება (ხბოებსაც კი არ ვაძლევთ).
ქათმის ფერმაში ანტიბიოტიკის გამოყენებისას ის ყოველთვის დაფიქსირდება ნაკელში. ქათმის ნაკელი და ბუმბულისა და სისხლის ფქვილი იყო ერთადერთი ცხოველური წარმოშობის ნედლეული , რომელშიც შესაძლებელია აღმოჩნდეს ანტიბიოტიკი. ამას ადასტურებს ისიც, რომ არც ამ პროდუქციის გამოყენებამდე და არც მას შემდეგ, დღემდე, რძეში ანტიბიოტიკის დაფიქსირების ფაქტი არ დადასტურებულა არც ერთი მყიდველის მიერ.

7. რატომ იყენებდით საქონლის საკვებად ბროილერის ნაკელს, რომელიც ევროკავშირმა 2002-2009 წელს მიღებული აქტებით მიიჩნია საფრთხის შემცველ საკვებად და ბევრმა წარმატებულმა ქვეყანამ უარი თქვა მის გამოყენებაზე? (დღეს მისი საკვებად გამოყენება საქართველოშიც აკრძალულია)
- ქათმის ნაკელი მსოფლიოში აღიარებულია პროტეინის იაფ წყაროდ. ამას ადასტურებს ევრორეგულაციები საქონლის საკვები დანამატების შესახებ.
მისი გამოყენება გარკვეული პერიოდის განმავლობაში მართლაც იყო აკრძალული, თუმცა 2021 წლიდან ევროკომისიის მიერ აკრძალვა მოიხსნა და ევროპის რიგ ქვეყნებში ქათმის ნაკელის გამოყენება დასაშვებია.
ქათმის ნაკელის საკვებად გამოყენების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ Feedepedia -ს ვებ გვერდზეც, რომელიც წარმოადგენს FAO-ს, INRAE-ს, CIRAD-ის და AFZ -ის ერთობლივ პროექტს.
8. რატომ არ იკვლევდით ნაკელს ლაბორატორიულად (ეს თქვა პროცესზე თქვენმა ვეტერინარმა) ვიდრე ძროხების გამოსაკვებად გამოიყენებდით? სპეციალისტები რადიო თავისუფლებასთან ამბობენ, რომ ქათმის ნაკელი სხვადასხვა ბაქტერიების და პათოგენების წყაროა ხშირად და საფრთხეს წარმოადგენს ძროხებისთვის.
- რადგან ქვეყანაში მსგავსი პრაქტიკა არავის ჰქონდა, და არც შესაბამისი კვლევის ჩატარების შესაძლებლობა გვქონდა. რაც შეეხება პათოგენებს, მოგეხსენებათ ნაკელის გამოყენება ხდებოდა მხოლოდ მასის გარკვეული პერიოდით დაყოვნებისა და ე.წ. გამოწვის პროცესის დასრულების შემდეგ, რომლის დროსაც შიდა ტემპერატურა 100 გრადუსზე მაღლა იწევს და ანადგურებს ყველა მავნე ბაქტერიას, სამწუხაროდ ანტიბიოტიკების გარდა.
9. "ყვარლის ბაგას" რძის მსხვილი შემსყიდველები: სანტე, ვიმ ბილ დანი, აგროჰაბი იყო თუ არა თქვენგან ინფორმირებული რომ მეწველი ძროხების საკვებად ქათმის ნაკელს იყენებდით? (სასამართლოს მასალებით ნაკელი ძროხების რაციონის მესამედს შეადგენდა)

ჩვენი ფერმის კარი ყოველთვის ღიაა ყველა ჩვენი კონტრაქტორისთვის და ისინი პერიოდულ მონიტორინგს ატარებენ ფერმაში უშუალო ვიზიტებით. ნებისმიერი სახის ინფორმაცია მათთვის ღიაა დაინტერესების შემთხვევაში. როგორც უკვე გითხარით, ქათმის ნაკელი მსოფლიოში აღიარებული პროტეინის წყაროა და ამაში [მის საკვებად გამოყენება] დასამალი არაფერია.

10. "ჩირინას" ხელმძღვანელი "რადიო თავისუფლებასთან" ინტერვიუში ამბობს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში დავის მოგებისას გამოიყენეთ თქვენი და თქვენი ძმის, როგორც ქართული ოცნების მხარდამჭერი ბიზნესმენების გავლენები, რას უპასუხებთ ამ ბრალდებას?
- მე არ მინდა დავიჯერო, რომ ბატონი რეზო ამას ამბობს, მაგრამ თუ ასეა ეს დიდი სირცხვილია მისთვის.
მიზნის მისაღწევად ყველაფერი არ უნდა იკადრო კაცმა. ამ დავაზე რევაზ ვაშაკიძე, პირველად ჩემს ძმასთან მივიდა, ჩემს ნათლულთან დავით მეშველიანთან ერთად (ვაშაკიძის ბიზნეს პარტნიორი იყო იმ დროს დავითი). შენი ძმა მძიმე სასაუბროა და იქნებ შენ ჩაერთოო უთხრეს სულხანს, ჩემს უფროს ძმას. მან მაშივე დამირეკა, მათი თანდასწრებით. ასაკიანი კაცი შეწუხდა, აქ მოვიდა, შენს ნათლულთან ერთად და იქნებ მორიგდეთო. მე მზაობა გამოვთქვი, თუ, რათქმაუნდა, ზარალი ანაზღაურდებოდა და თან შევახსენე რომ სიცრუე რაც მისმა მენეჯერებმა იკადრეს შეუფერებელიათქო ბიზნესში. ბატონ რევაზს უთქვამს, რომ თუ ჩემებმა იცრუეს მე შევწყვეტ დავას და ავანაზღაურებო ზარალს. შენახული მქონდა ტელეფონში, მთავარი სამხილი მათი სიცრუისა. ხელმოწერებით დადასტურებული, ელექტრონული გზავნილი იქვე ჩავუგდე ვოთსაპით. საღამოს ვკითხე ჩემს ძმას როგორ დასრულდათქო საუბარი? როგორც კი შენი გამოგზვნილი წერილი ვაჩვენე ადგნენ და წავიდნენო.
ჩვენს ოჯახს, ღვთის დიდი წყალობით, არ ჩვევია ოპონენტებთან უკანონო და უსამართლო მოპყრობა. დავის დაწყებიდან, ჩემი ინიციატივით, სამჯერ ვესტუმრე ბატონ რევაზს მოსარიგებლად და მიუხედავად ყველაფრისა, ეხლაც მზადა ვარ, აბსოლუტურად გონივრულ ფარგლებში მოველაპარაკო, სასამართლოს გარეშე, მედიატორის ჩართულობით, ან როგორც ბიზნესმენი ბიზნესმენს.